ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5004740

ნომერი: AR1757070

თარიღი : 30.06.2020

გაცემის თარიღი : 30.06.2020

გაცნობის თარიღი : 01.07.2020

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მტკვრის მარცხენა სანაპირო , სერგეი ლაზოს მიმდებარედ ლაზოს ქ. N1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი შეყილაძე პ/ნ 01005009454
- საბურთალოს N33

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ.

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ- ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:
დადგენილი ფაქტობრივი გარემოებაა, რომ თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ქალაქ თბილისში, მტკვრის მარცხენა სანაპირო , სერგეი ლაზოს მიმდებარედ ლაზოს ქ. N1 დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმა , რომელიც მოიცავს თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთეს (საკადასტრო კოდები: №01.11.04.019.396) შესაბამისად ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება უნდა მოხდეს აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ)-ს მიხედვით. აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება არ არის დაგეგმილი იმ შემთხვევაში, თუ გსურთ მიწის ნაკვეთების ისეთი სახით განვითარება, რომელიც ცდება აღნიშნულ განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებს საჭიროა განახორციელოთ განაშენიანების რეგულირების გეგმაში ცვლილება. აღნიშნულის განხორციელების მიზნით განცხადება უნდა ატვირთოთ ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის გვერდზე https://urban.tbilisi.gov.ge/ შესაბამის ნომენკლატურაში: „განაშენიანების რეგულირების გეგმა“ და შემდგომ „განაშენიანების რეგულირების გეგმის ცვლილება“.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური თქვენ მოთხოვნას, ამ ეტაპზე ვერ დააკმაყოფილებს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.